# საქართველო
# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება

N 50 30 13/04/2017

**.არასამეწარმეო ( არაკომერციული) იურიდიული პირის ეთერ კიკნაძის სახელობის „სკოლამდელ დაწესებულებატა გაერთიანებისათვის სოფელ ღორეშის და სოფელ წიფის საბავშვო ბაღის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით არსებობის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1**.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადაცეს უსასყიდლო უზურფრუქტის წესით, არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ეთერ კიკნაძის სახელობის ,,სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას“სოფლის საბავშვო ბაღების ქონება:

**ღორეშის საბავშო ბაღი** (ს/კ 36.06.32.011), შენობა 196.91 კვმ, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 552. 81 ( ხუთასორმოცდათორმეტი) ლარი და 81 თეთრი, მიწა 517 კვმ.(მიწის ნორმატიული ფასი 2.12 ლარი).

**წიფის საბავშო ბაღი** (ს/კ 36.19.32.013), შენობა 140.47 კვმ, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 893 ( რვაასოთხმოცდაცამეტი) ლარი, მიწა 594 კვმ.(მიწის ნორმატიული ფასი 2.12 ლარი).

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

**მუხლი 3.** განკარგულება  შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი  წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე